წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.
თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

სწავლა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ადამიანს არ შეუძლია, არ ისწავლოს, ის დაბადებიდან „განწირულია“ სწავლისათვის. სწავლა შეიძლება იყოს ცნობიერი, გამიზნული პროცესი, როდესაც ადამიანს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები ამოძრავებს. თუმცა ამავე დროს ადამიანი ძალიან ბევრ რამეს ძალდაუტანებლად, ცნობიერი ჩარევის გარეშე ითვისებს. ასეთ დროს ეს პროცესი თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობს.

სწავლის პროცესის გააზრებისას გასათვალისწინებელია, რომ სწავლა მენტალური პროცესია, რომელსაც უშუალოდ ვერ დააკვირდები. თუმცა ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ მისი კვლევა ინდივიდის ქცევაზე დაკვირვების გზით არის შესაძლებელი. ასეთ დროს საჭიროა ქცევაზე დაკვირვება სულ ცოტა ორჯერ, დროის გარკვეული შუალედით. თუკი ინდივიდი ერთსა და იმავე სტიმულზე თავდაპირველად ერთგვარად რეაგირებს, ხოლო შემდგომში – სხვაგვარად, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ შუალედში, ბევრი თუ ცოტა მცდელობის შედეგად, მან რაღაც დაისწავლა.

სწავლა გამოიხატება ქცევისა თუ ცოდნის ცვლილებაში შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. დავუშვათ, მათემატიკის პირველ გაკვეთილზე მოსწავლემ ვერ უპასუხა მასწავლებლის შეკითხვას: „რამდენია ორს მივუმატოთ ორი?“ ხოლო რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ უკვე სწორად უპასუხა: „ოთხი“. თუკი ბავშვი ამ ცოდნას შემდეგ ჯერზეც გამოავლენს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვმა აითვისა ცოდნის ეს ელემენტი.

საყურადღებოა ისეთი შემთხვევაც, როდესაც დასწავლილი შეიძლება ჯერ არ იყოს გამოვლენილი ქცევის ცვლილებაში. უშუალოდ გაკვეთილის ახსნის შემდეგ შეიძლება არ გამოვლინდეს ქცევის ცვლილება – მოსწავლემ ვერ უპასუხოს მასწავლებლის შეკითხვას. თუმცაღა ეს ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა არ შეიძინა. ასეთ დროს ლაპარაკია „ლატენტურ ცოდნაზე“.

სწავლა არის ქცევის ისეთი ცვლილება, რომელიც ნორმალურ ვითარებაში სტაბილურად ვლინდება. ქცევის ცვლილება შეიძლება ვერ გამოვლინდეს სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, მაგალითად, დაღლილობისა თუ ავადმყოფობის გამო. თუკი მოსწავლე დაღლილია და ვერ ასრულებს დავალებას, ეს არ ნიშნავს, რომ მან ეს საკითხი არ იცის.

დასწავლა, როგორც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი ქცევის ცვლილება, არის ამ პროცესის აღწერითი დეფინიცია. ის არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს ინდივიდი. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა სცადეს ფსიქოლოგებმა სხვადასხვა მიმდინარეობის ფარგლებში.

ტექსტის გაგრძელება ->

XX საუკუნის 30-იან წლებში გავრცელდა **ბიჰევიორისტული** თეორიები, რომლებიც დასწავლას სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირებით განმარტავს. ბიჰევიორისტები ცდილობდნენ შეესწავლათ სტიმულსა და რეაქციას შორის არსებული ასოციაციური კავშირების გამომწვევი ფაქტორები, მათი განმტკიცების ან, პირიქით, ჩაქრობის კანონზომიერებები და სხვ. ამ მოდელის მიხედვით, მოსწავლე რეაგირებს სტიმულზე, თუმცა თავად პასიურია. მოსწავლის ქცევასა და რეაქციებს გარემო პირობები, გარედან მიწოდებული ინფორმაცია განსაზღვრავს. შესაბამისად, სკოლა სათანადო გარემო პირობების, ანუ მართებული სტიმულების ვრცელი ასორტიმენტის შექმნაზე უნდა ზრუნავდეს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეს საშუალება ეძლევა შეიმუშაოს „მართებული“ რეაქციები.

XX საუკუნის შუა წლებიდან, გამოთვლითი მანქანების დახვეწისა და გავრცელების კვალდაკვალ, ფსიქოლოგიაში გავრცელდა ინფორმაციის გადამუშავების **კოგნიტივისტური** თეორიები, რომლებიც დასწავლას, ძირითადად, გამოთვლითი მანქანების მუშაობის მსგავს პროცესად წარმოაჩენენ და კიბერნეტიკისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით აღწერენ. აღნიშნული მოდელი დასწავლას უტოლებს ინფორმაციის მიღების, შენახვისა და „გამოხმობის“ პროცესებს. ამ თეორიებში ყურადღება გამახვილდა დასწავლის კოგნიტური უნარების შესწავლაზე; მნიშვნელოვანი გახდა არა მხოლოდ სტიმულის, არამედ „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის“, ანუ კოგნიციის შესწავლაც. თუმცა მოსწავლე ამ მოდელის მიხედვითაც ინფორმაციის პასიურ მიმღებად მიიჩნევა, რომელსაც „ბიტების“ გარკვეული რაოდენობა გარედან უნდა მივაწოდოთ, რათა მან ეს ინფორმაცია მეხსიერებაში შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიხმოს.

შემდგომ ეტაპზე ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში გავრცელდა **კონსტრუქტივისტული მოდელები**, რომელთა ამოსავალი დებულებაა, რომ თითოეული ჩვენგანის აღქმა ინდივიდუალურია და განსხვავებული, ჩვენ ერთი რეალობის აღქმისას განსხვავებულ სამყაროებს აღვიქვამთ და გონებაში რეალობის განსხვავებულ სურათებს ვიქმნით; დასწავლა კი არის ინდივიდის მიერ სამყაროს სურათის კონსტრუირება, რომელიც იმთავითვე სხვადასხვაა. რთულია მოსწავლის მიერ კონსტრუირებული სამყაროს ხატის მართებულობის გადამოწმება ან შეფასება. მოსწავლე არის ინფორმაციის არა პასიური მიმღები, არამედ აქტიური საწყისი, რომელიც ინფორმაციას გარდაქმნის, გარკვეულ, თავისთვის ღირებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ასეთი გადამუშავებული სახით ითვისებს. ინფორმაციის ინტერპრეტირება დამოკიდებულია ინდივიდის გამოცდილებაზე, მის წინარე ცოდნაზე.

პედაგოგიკაში კონსტრუქტივიზმიდან მომდინარეობს მოსწავლეზე **ცენტრირების პრინციპი**, რომლის მიხედვითაც მოსწავლის ყველა მოსაზრება თუ ჰიპოთეზა განხილვასა და პატივისცემას იმსახურებს, თუმცა ყველა მოსაზრება როდია მართებული. მასწავლებელი არის სწავლების ხელისშემწყობი და მართებული გეზის მაჩვენებელი, ის არ არის ყოვლისმცოდნე ინსტანცია. მისი ფუნქციაა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ცოდნის კონსტრუირების პროცესს, დაეხმაროს მოსწავლეებს მართებული შინაარსების მიღებასა და ცოდნის ათვისებაში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) მიმოიხილოს და ერთმანეთს შეადაროს დასწავლის სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოდელი.

(ბ) აღწეროს დასწავლა, როგორც ქცევის ცვლილების პროცესი, და მიმოიხილოს ის სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოდელის პოზიციიდან.

(გ) დასწავლის სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოდელის შედარების საფუძველზე ხაზი გაუსვას კონსტრუქტივისტული მიდგომის უპირატესობას.

(დ) გამოკვეთოს დასწავლის სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოდელის მნიშვნელობა თანამედროვე პედაგოგიკისათვის.

(ე) გააანალიზოს დასწავლის არსი და წარმოაჩინოს მასწავლებლის როლი და ფუნქცია ცოდნის შეძენის პროცესში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

2. თუკი, ბურთით თამაშის დასწავლისას, დაკვირვების პირველ მომენტში პატარა ბავშვი ვერ ახერხებს ბურთის გადმოგდებას, ხოლო დაკვირვების მეორე და შემდგომ მომენტებში უკვე ახერხებს ამ ქმედების განხორციელებას, მაშინ, ტექსტის მიხედვით:

(ა) შეგვიძლია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბავშვმა დროის ამ შუალედში ისწავლა ბურთის გადმოგდება.

(ბ) შეგვიძლია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ბავშვს დროის ამ შუალედში არაფერი ახალი არ უსწავლია.

(გ) შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვმა დროის ამ შუალედში ისწავლა ბურთის გადმოგდება.

(დ) შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბავშვმა ბურთი შემთხვევით გადმოაგდო.

(ე) აღნიშნულ ეპიზოდზე დაყრდნობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია ბავშვის ქცევის შესახებ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

3. ტექსტის მიხედვით, იმის დასადგენად, ნამდვილად დაისწავლა თუ არა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი:

(ა) უმჯობესია მასწავლებელმა მოსწავლე გამოკითხოს არა უშუალოდ გაკვეთილის დასრულების, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

(ბ) უმჯობესია მასწავლებელმა მოსწავლე გამოკითხოს უშუალოდ გაკვეთილის შემდეგ, და არა მოგვიანებით.

(გ) არ აქვს მნიშვნელობა, როდის გამოკითხავს მასწავლებელი მოსწავლეს – უშუალოდ გაკვეთილის შემდეგ, თუ მოგვიანებით.

(დ) არ არის აუცილებელი გამოკითხვისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მოსწავლის დაღლა, სტრესი, ხმაური.

(ე) საკმარისია გამოკითხვისას მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე მოსწავლემ ერთხელ მაინც გასცეს სწორი პასუხი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

4. ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული სწორად მიმართება დასწავლის ფსიქოლოგიურ მოდელებს შორის?

(ა) ბიჰევიორისტულ და კოგნიტივისტურ მოდელებში დასწავლა, როგორც სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირი, იდენტურად არის წარმოდგენილი.

(ბ) ბიჰევიორისტული მოდელის მიხედვით, მოსწავლე ცოდნის პასიური მიმღებია, კოგნიტივისტები და კონსტრუქტივისტები კი ცოდნის მიღების პროცესში მოსწავლის აქტიურ როლზე ამახვილებენ ყურადღებას.

(გ) როგორც კონსტრუქტივისტულ, ისე კოგნიტივისტურ მოდელში ინდივიდი თავად არის საკუთარი ცოდნის შემოქმედი.

(დ) როგორც ბიჰევიორისტულ, ისე კოგნიტივისტურ მოდელში ყურადღება გამახვილებულია ცოდნის შეძენაში გარედან მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობაზე.

(ე) როგორც კოგნიტივისტურ, ისე ბიჰევიორისტულ მოდელში ყურადღება გამახვილებულია დასწავლის პროცესში სუბიექტური გამოცდილების როლზე.

5. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

(ა) ქცევის როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ცვლილება დასწავლის ინდიკატორად უნდა მივიჩნიოთ.

(ბ) დასწავლის პროცესს სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიმდინარეობები განსხვავებულად განიხილავენ.

(გ) დასწავლა და ცოდნის შეძენა შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, გამიზნული, ისე არაცნობიერი პროცესის შედეგი.

(დ) კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის გონება სუბიექტურად ასახავს მოცემულ რეალობას.

(ე) ქცევის ცვლილება, როგორც დასწავლის შედეგი, უშუალოდ დასწავლის პროცესის დასრულების შემდეგ ყოველთვის არ ვლინდება.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) კოგნიტივისტურ და კონსტრუქტივისტულ მოდელებში იდენტურად არის წარმოდგენილი მასწავლებლის როლი და ფუნქცია.

(ბ) ბიჰევიორისტულ მოდელში სწავლა განიხილება, როგორც ინფორმაციის გადამუშავების პროცესი.

(გ) დასწავლილი შეიძლება არ გამოვლინდეს ქცევის ცვლილების სახით გარკვეული ფაქტორების ზემოქმედების გამო.

(დ) დასწავლის დეფინიციაში ასახულია, თუ როგორ სწავლობს ადამიანი, რა მექანიზმი უდევს დასწავლის პროცესს საფუძვლად.

(ე) ცოდნა ლატენტურია, როდესაც დასწავლა ხდება ძალდაუტანებლად, ცნობიერი ჩარევის გარეშე.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

7. **ტექსტის ბოლო აბზაცში:**

(ა) გაკრიტიკებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მოსაზრება.

(ბ) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

(გ) მოყვანილია არგუმენტები წინა აბზაცში განხილული საკითხის საპირისპიროდ.

(დ) გაანალიზებულია წინა აბზაცში მოყვანილი მაგალითები.

(ე) გავრცობილია წინა აბზაცში განხილული საკითხი.

ტექსტი №2

I მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია პოეტურობა, ესთეტურობა, თუმცა ეს შეიძლება ახასიათებდეს საინფორმაციო, ე. წ. ყოფით ტექსტსაც, მაგალითად, საგაზეთო რეპორტაჟს. მკვლევართა ნაწილის აზრით, მხატვრულ ლიტერატურასა და საინფორმაციო თუ სამეცნიერო ტექსტებს შორის განსხვავება, ძირითადად, მდგომარეობს სინამდვილისადმი მათ დამოკიდებულებაში. არამხატვრული ტექსტი ფაქტობრივ სინამდვილეს ასახავს, ამიტომ მისი შემოწმება შესაძლებელია, ხოლო მხატვრული ტექსტი – არარსებულ სამყაროს და მისი გადამოწმება პრინციპულად შეუძლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საინფორმაციო ტექსტი, მაგალითად, საგაზეთო რეპორტაჟი ან სტატისტიკის დეპარტამენტის ანგარიში შეიძლება შეიცავდეს მცდარ ან განზრახ დამახინჯებულ, ყალბ ინფორმაციას. ამრიგად, საინფორმაციო ტექსტის წინადადება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. მხატვრული ტექსტის წინადადება და თავად ტექსტი კი ტყუილია რეალურ სამყაროსთან მიმართებით და ჭეშმარიტია ფიქციურ სამყაროში.

II ლიტერატურის „ფიქციურობის“ ღერძის ერთ უკიდურეს პოლუსად შეიძლება წარმოვიდგინოთ ზღაპარი ან ფანტასტიკური რომანი, ანუ ჟანრობრივად განპირობებული ტყუილი, ხოლო მეორე პოლუსად – ლიტერატურის ისეთი ნიმუშები, რომელთა ჟანრობრივი ფორმა უფრო მეტად „ყოფით“, არამხატვრულ ლიტერატურას შეესაბამება, იქნება ეს ბიოგრაფიული ლიტერატურა, დღიურები, წერილები ან ოქმებისა თუ განცხადებების ფორმაში მოქცეული მხატვრული ნაწარმოებები. ავტორს ყველაზე მეტად ასეთი ჟანრის ტექსტებით შეუძლია „ნამდვილობის“ სიმულირება. სწორედ ასეთ ჟანრში შექმნილი ნაწარმოებებით შეუძლია ავტორს შეიყვანოს მკითხველი შეცდომაში და მას მონათხრობის „ნამდვილობის“ განცდა გაუჩინოს.

III თუკი ავტორს განზრახული აქვს, რომ ლიტერატურული ტექსტი მკითხველს მიაწოდოს როგორც ნამდვილი, ფაქტობრივი ამბავი, მან უნდა გაითვალისწინოს ლიტერატურული ტექსტის ფიქციურობის მახასიათებლები და სცადოს მათი შენიღბვა. ლიტერატურული ნაწარმოების ფიქციურობის მახასიათებლები ორ ჯგუფად იყოფა. ესენია გარეტექსტობრივი და შიდატექსტობრივი მახასიათებლები.

IV გარეტექსტობრივი მახასიათებლების დახმარებით მკითხველი, როგორც წესი, იოლად ამოიცნობს, რომ მას ხელთ აქვს ფიქციური ხასიათის ნაწარმოები. სატიტულო გვერდის გაფორმება უკვე მიუთითებს ლიტერატურულ ნაწარმოებზე, თუმცა ავტორები ხშირად ცდილობენ გარეტექსტობრივი მახასიათებლების ისეთი სახით წარმოდგენას, რომ მკითხველს „ნამდვილობის“ ილუზია შეუქმნან.

ტექსტის გაგრძელება ->

V ერთ-ერთი ნიშანი, რომლითაც ამოიცნობა ტექსტის ფიქციურობა, არის ტექსტისათვის ავტორის ვინაობის დართვა, რაც მტკიცე ლიტერატურულ ტრადიციას წარმოადგენს. ცხადია, ავტორმა შეიძლება ფსევდონიმი გამოიყენოს და მკითხველს თავისი ვინაობა დაუფაროს, მაგრამ ფსევდონიმის გამოყენება ბევრს არაფერს ცვლის, რადგან მკითხველთა უმეტესობა იშვიათად ასხვავებს ფსევდონიმსა და ნამდვილ გვარს.

VI ლიტერატურის ფიქციურობის შემდეგი ნიშანია სათაური. ხშირად სათაურებში ან უფრო ხშირად ქვესათაურებში პირდაპირ გვხვდება ჟანრის მითითება, თუმცა ავტორები ხანდახან ცდილობენ სათაურების ისე ფორმულირებას, რომ მკითხველს შეუქმნან ტექსტის „ნამდვილობის“ განცდა. „ნამდვილობის“ ეფექტის შესაქმნელად ხშირია ისეთი ქვესათაურები, როგორებიცაა: „ნამდვილი ამბავი“, „რეალური შემთხვევა“ და სხვ.

VII გარეტექსტობრივი მახასიათებლების კატეგორიას განეკუთვნება ავტორის ან გამომცემლის წინათქმაც. წინათქმა არის ერთგვარი „ხელშეკრულება“ ფიქციურობის შესახებ, რომელსაც „აფორმებს“ ავტორი ან გამომცემელი მკითხველთან. მაგრამ წინათქმა ავტორმა „ნამდვილობის“ განცდის შესაქმნელადაც შეიძლება გამოიყენოს. ასეთ წინათქმაში შეიძლება მოცემული იყოს მტკიცება, რომ ტექსტი ნამდვილად აღწერს რეალურ ამბავს, ან რომ ეს შემთხვევით აღმოჩენილი არაფიქციური ტექსტია, მაგალითად, დღიური, პირადი წერილი და ა. შ.

VIII სათაურსა თუ წინათქმაზე მეტად ლიტერატურული ნაწარმოების ფიქციურობაზე თავად ნაწარმოების შინაარსი მეტყველებს. ამდენად, თუკი ავტორს მკითხველის შეცდომაში შეყვანა სურს, მან განსაკუთრებული ყურადღება ფიქციურობის შიდატექსტობრივ ნიშნებზე უნდა გაამახვილოს.

IX ბორხესის მოთხრობების ნაწილი დაწერილია მემუარულ ჟანრში ან სამეცნიერო-პოპულარული ესეის სტილში. სათაური, წინათქმა, ასევე თხრობის რეალისტური მანერა და შინაარსი ტექსტის ფიქციურობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ავტორი თითქოს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნაწარმოებს საინფორმაციო ტექსტისათვის დამახასიათებელი ელფერი მისცეს. მკითხველიც ორჭოფობს და უჭირს უაპელაციოდ მიიღოს ტექსტის ფიქციურობა, რადგან ტექსტის მხატვრულობა ნელ-ნელა, სიუჟეტის განვითარების პროცესში იკვეთება, რაც განსაკუთრებულ, ბორხესისეულ ეფექტს ქმნის.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) მიმოიხილოს ლიტერატურული ნაწარმოების ის მახასიათებლები, რომელთა საშუალებითაც ავტორს შეუძლია მხატვრული ტექსტის „ნამდვილობის“ ეფექტის შექმნა.

(ბ) წარმოაჩინოს განსხვავება მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებს შორის.

(გ) ტექსტის ფიქციურობის განმსაზღვრელი მახასიათებლების მიმოხილვის ფონზე ხაზი გაუსვას შიდატექსტობრივი მახასიათებლების უპირატესობას.

(დ) დეტალურად განიხილოს ტექსტის ფიქციურობის განმსაზღვრელი გარეტექსტობრივი მახასიათებლები.

(ე) დაასაბუთოს, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ფიქციურობის გამო მისი „ნამდვილობის“ სიმულირება შეუძლებელია.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

9. ტექსტის რომელ აბზაცს შეავსებდა შემდეგი მაგალითი?

1938 წელს აშშ-ში რადიოში გადმოსცეს ჰერბერტ უელსის ფანტასტიკის ჟანრის რომანის – „სამყაროთა ომის“ – რადიოდადგმა. რეჟისორმა ამ დადგმას მოვლენათა ადგილიდან გადმოცემული პირდაპირი რეპორტაჟის სახე მისცა. უამრავმა რადიომსმენელმა რადიოდადგმა ნამდვილ ახალ ამბად მიიჩნია, რამაც სერიოზული პანიკა გამოიწვია.

(ა) I-ს

(ბ) II-ს

(გ) V-ს

(დ) VIII-ს

(ე) IX-ს

10. ცნობილი მწერალი თავის ერთ-ერთ მოთხრობას შემდეგნაირად ასათაურებს: „ქუჩაში ნაპოვნი ხელნაწერი“.

ტექსტიდან გამომდინარე, ამ სათაურის შერჩევით ის:

(ა) ესთეტურ და პოეტურ ღირებულებას სძენს თავის ნაწარმოებს.

(ბ) შიდატექსტობრივი მახასიათებლების გამოყენებით დოკუმენტურობას სძენს ტექსტს.

(გ) გარეტექსტობრივი მახასიათებლის გამოყენებით ხაზს უსვამს ტექსტის ფიქციურობას.

(დ) გარეტექსტობრივი მახასიათებლის გამოყენებით მკითხველს ტექსტის „ნამდვილობაში არწმუნებს“.

(ე) უარს ამბობს ავტორობაზე და ამ ტექსტის მხოლოდ მპოვნელად გვევლინება.

11. **რომელი მოსაზრების საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი?**

1995 წელს ავტორმა ვილკომირსკის ფსევდონიმით გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული ჟანრის რომანი: „ფრაგმენტები ჩემი ბავშვობიდან, 1939-1948 წლები“, რომელშიც რეალისტურად და დეტალურად არის აღწერილი ებრაელი ბავშვის ცხოვრება გერმანელების მიერ ოკუპირებულ ლატვიაში და შემდგომ მისი ყოფა საკონცენტრაციო ბანაკებში. წიგნის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ავტორი არასოდეს ყოფილა არც ლატვიაში და არც საკონცენტრაციო ბანაკებში.

მწერალმა მკითხველის შეცდომაში შეყვანისა და „ნამდვილობის“ სიმულირებისათვის გამოიყენა:

(ა) მხოლოდ გარეტექსტობრივი მახასიათებლები.

(ბ) მხოლოდ შიდატექსტობრივი მახასიათებლები.

(გ) როგორც გარე, ისე შიდატექსტობრივი მახასიათებლები.

(დ) მხოლოდ ფსევდონიმი.

(ე) მხოლოდ სათაური და ქვესათაური.

12. ტექსტის მიხედვით, წარმოდგენილ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) საინფორმაციო ტექსტი ყოველთვის სწორ ფაქტობრივ ინფორმაციას გადმოსცემს, მხატვრული ტექსტი კი ტყუილია რეალურ სამყაროსთან მიმართებაში.

(ბ) მხატვრული ტექსტი ყოველთვის ჭეშმარიტია ფიქციურ სამყაროში.

(გ) მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებში რეალობა ერთნაირად აისახება.

(დ) მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებს შორის სხვაობა მხოლოდ პოეტურობისა და ესთეტურობის კატეგორიებში უნდა ვეძებოთ.

(ე) როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტექსტის რეალობასთან მიმართების გადამოწმება ყოველთვის შესაძლებელია.

13. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) ავტორები ყველაზე ხშირად ფსევდონიმის გამოყენებით ქმნიან მხატვრული ტექსტის „ნამდვილობის“ ილუზიას.

(ბ) წინათქმის დახმარებით ავტორს შეუძლია მკითხველი „დაარწმუნოს“ როგორც ტექსტის ფიქციურობაში, ისე მის „ნამდვილობაში“.

(გ) სათაურით თუ ქვესათაურით ავტორი ვერ ქმნის ტექსტის ფიქციურობაში დაეჭვების საფუძველს.

(დ) გარეტექსტობრივი მახასიათებლებით უფრო ადვილია ტექსტის ფიქციურობის ამოცნობა, ვიდრე შიდატექსტობრივი მახასიათებლებით.

(ე) მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ოქმისა თუ განცხადების ფორმა აქვს, ყოველთვის უტყუარ ინფორმაციას შეიცავს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

14. ტექსტის მიხედვით, რას ნიშნავს „ბორხესისეული ეფექტი“?

(ა) ბორხესს, როგორც გამოცდილ მწერალს, ყველა ჟანრის ტექსტით ერთნაირი წარმატებით შეეძლო „ნამდვილობის“ სიმულირება.

(ბ) ბორხესი, ძირითადად, გარეტექსტობრივ მახასიათებლებს იყენებს ტექსტის ფიქციურობაში მკითხველის დასაეჭვებლად.

(გ) ბორხესი, ძირითადად, შიდატექსტობრივი მახასიათებლების საშუალებით ახერხებს ნაწარმოების „ნამდვილობის“ ილუზიის შექმნას.

(დ) მაღალმხატვრული ღირებულების გამო ბორხესის მკითხველი უაპელაციოდ იღებს ტექსტის ფიქციურობას.

(ე) ბორხესის ნაწარმოებებში ტექსტის ფიქციურობა გარე და შიდატექსტობრივი მახასიათებლების საშუალებით სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ იკვეთება.

ტექსტი №3

I ადამიანს ხშირად უჭირს პრობლემებისათვის ერთი შეხედვით უცნაური, მოულოდნელი ამოხსნის პოვნა; ორიგინალური მიდგომა, გაუკვალავი გზების ძიება, საგნებისთვის ატიპური ფუნქციების მინიჭება საკმაოდ რთული საქმეა. ადამიანი უმეტესწილად ტრაფარეტულად აზროვნებს, რისი მიზეზიც ხშირად ფუნქციის ფიქსაციის პრობლემაა.

II ტერმინი **„ფუნქციის ფიქსაცია“** გერმანელი ფსიქოლოგის, დუნკერის სახელთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, კარგად ნაცნობი ნივთების მიმართ ადამიანებს ხშირად ფუნქციის ფიქსაცია ახასიათებთ, რაც ამ ნივთების გამოყენებას მხოლოდ გარკვეული ფუნქციით გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, ამ ნივთების განსხვავებული მიზნებით გამოყენებას აფერხებს.

III პრობლემის გადაჭრისათვის ფუნქციის ფიქსაციის ეფექტი ხშირად სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ამ დროს ნივთები და მათ შესახებ წარმოდგენები არა მთელი სისრულით, არამედ გარკვეული ფუნქციური „შებოჭილობით“, „გამოყენებით ჩარჩოებში მოქცეული“ გვეძლევა. ნივთს შლეიფვით მოჰყვება ჩვენი კონკრეტული, მყარი წარმოდგენა მასზე, რაც ახლებურ კონტექსტში მის დანახვას ართულებს.

IV ფიქსაციის ეფექტი გარკვეულ პროცესებზეც ვრცელდება. მაგალითისთვის ავიღოთ ყიდვის პროცესი. ცხადია, რეალურ ვითარებაში ის ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად შეიძლება წარიმართოს, მაგრამ იმის მიუხედავად, მანქანას ვყიდულობთ თუ კბილის ჯაგრისს, ყიდვის პროცესი პრინციპულად ერთმანეთის მსგავსია. ჩვენ ვარჩევთ საქონელს, ვიხდით საფასურს და შინ მიგვაქვს შენაძენი. ამ ოპერაციების მსგავსება გონებაში ილექება და წარმოსახვაში ქმნის ყიდვის პროცესის ჩამოყალიბებულ სურათს. ასეთ გამყარებულ წარმოდგენებს ფსიქოლოგიაში **მენტალურ სქემებს** უწოდებენ. მენტალური სქემები განმტკიცებულია ხშირი გამეორებითა და ფიქსაციით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მენტალური სქემები გარკვეული ქმედებების სტერეოტიპული წარმოდგენებია.

ტექსტის გაგრძელება ->

V ინფორმაციის დამუშავებისას მენტალური სქემების როლი საკმაოდ დიდია. ისინი ინფორმაციის მართებულად გაგების მნიშვნელოვანი საყრდენია. სქემების არსებობა აჩქარებს ინფორმაციის გადამუშავების პროცესს, რადგან ხშირად აღარ გვჭირდება „თავისთავად ცხადი“ მოვლენების გადმოცემა. მაგალითად, თუკი ვინმე გვიყვება, რომ კინოში იყო, ჩვენს მეხსიერებაში არსებული შესაბამისი სქემა უმალ გვკარნახობს კინოში განვითარებულ რუტინულ ქმედებებს – ბილეთის შეძენას, ადგილის ძებნას და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ასეთ დეტალებზე ყურადღების სპეციალურად გამახვილება არც მთქმელს და არც მსმენელს აღარ სჭირდება, ეს ხომ თავისთავად ცხადია. მაგრამ სწორედ ეს თავისთავადი სიცხადე არის მრავალი შეცდომის მიზეზი, რომლებიც ქმედებათა ფიქსაციით არის გამოწვეული. ასე რომ, სტერეოტიპულმა წარმოდგენებმა შეიძლება რეალობის ობიექტურად აღქმაში ხელი შეგვიშალოს და ილუზორულ სამყაროში გადაგვიყვანოს, უარყოფითი გავლენა მოახდინოს აღქმის პროცესზე.

VI ფიქსაციის ფსიქოლოგიური მიზეზი არაცნობიერ განწყობაშია საძებნი. როგორც ცნობილია, გარკვეული პროცესის მრავალჯერადი გამეორება იწვევს ამ პროცესის ფიქსაციას, რაც შემდეგ განწყობის სახით ვლინდება. მსგავს, ანალოგიურ ვითარებებში მოხვედრისას, ჩვენ სრულებით გაუცნობიერებლად არსებული განწყობის მიხედვით ვიქცევით, რასაც **დისპოზიციურ განწყობას** უწოდებენ. დისპოზიციურ განწყობას აყოლილები ჩვენ კრიტიკულად არ ვაფასებთ რეალობას. ასეთ დროს, განწყობის თანმდევი ასიმილაციური ილუზიის გავლენით, ვერ ვამჩნევთ პროცესში გამოვლენილ მცირე განსხვავებებს და მათ ჩვენთვის ნაცნობ სქემაში ვათავსებთ. დისპოზიციური განწყობა ჩვენს ქმედებას გარკვეულ მიმართულებას, გეზს აძლევს. სწორედ ეს იწვევს ფიქსაციის, მათ შორის, ფუნქციის ფიქსაციის ეფექტს, როდესაც ნივთს მხოლოდ მისი რუტინული ფუნქციით ვხედავთ და არ შეგვიძლია მისი ყველა შესაძლებლობის შეფასება.

VII ამიტომ, როდესაც ახალი გზებისა თუ იდეების ძიებას იწყებთ, დაიწყეთ ნაცნობის გადასინჯვით, არ გაებათ ფუნქციის ფიქსაციის ხაფანგში, გახსოვდეთ, რომ ნივთი მეტია, ვიდრე მხოლოდ მისი ტრადიციული გამოყენება. გახსოვდეთ ასევე, რომ არსებობს ე. წ. **ლატერალური**, ანუ შემოვლითი, გვერდითი აზროვნება, რომელიც პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ, ტრადიციულისაგან განსხვავებულ მეთოდებს გულისხმობს. ლატერალური აზროვნება გვეხმარება ახალი მიდგომების აღმოჩენასა და ხშირად ნაცნობი იდეისა თუ იდეების საფუძველზე ახალი, მოულოდნელი, მაგრამ შესაძლებელი მოდელის შექმნაში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) გაგვაცნოს ტერმინის – „ფუნქციის ფიქსაციის“ – მნიშვნელობა და მისი ჩამოყალიბების ისტორია.

(ბ) გაგვაცნოს ფუნქციის ფიქსაციისა და მენტალური სქემებით აზროვნების არსი.

(გ) ხაზი გაუსვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფიქსაციის უარყოფით ეფექტს.

(დ) ახსნას ფუნქციის ფიქსაციის ფსიქოლოგიური საფუძველი.

(ე) გაგვაცნოს მენტალური სქემების არსი და მისი მოქმედების მექანიზმი.

16. *ექსპერიმენტში ცდისპირთა ერთ ნაწილს სთხოვეს ქაღალდის პატარა კვადრატები დიდ მუყაოზე წებოთი დაემაგრებინა, ხოლო მეორე ნაწილს – იგივე გაეკეთებინა, ოღონდ რკინის სამაგრების („სკრეპების“) გამოყენებით. ამის შემდეგ ცდისპირებს სთხოვეს იმავე საგნების დახმარებით მუყაოს დამაგრება ჭერიდან ჩამოშვებულ თოკზე. აღმოჩნდა, რომ პირველი ჯგუფის წევრები უფრო იოლად ხვდებოდნენ, რომ შესაძლებელია რკინის სამაგრის გაშლა, მუყაოს გახვრეტა და შემდეგ თოკზე დამაგრება, განსხვავებით იმ ჯგუფის წევრებისაგან, რომლებმაც სამაგრები ტრადიციული მეთოდით გამოიყენეს.*

ტექსტიდან გამომდინარე, ექსპერიმენტის შედეგი განპირობებულია იმით, რომ:

I. პირველ ჯგუფს არ განუმტკიცდა სამაგრის ფუნქციის ფიქსაცია, რამაც ამ ნივთის არატრადიციული მეთოდით გამოყენების შესაძლებლობა გაზარდა.

II. მეორე ჯგუფში ნაკლებად საზრიანი და გონიერი ცდისპირები იყვნენ, ვიდრე პირველ ჯგუფში.

III. პირველი ჯგუფის ცდისპირებს ფუნქციის ფიქსაცია დაეხმარა სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

IV. მეორე ჯგუფს ხელი შეუშალა მიცემული დავალების შედეგად გააქტიურებულმა დისპოზიციურმა განწყობამ.

ამათგან მართებულია:

(ა) I და II.

(ბ) II და III.

(გ) I და III.

(დ) I და IV.

(ე) II და IV.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

17. *ექსპერიმენტში ცდისპირებს წაუკითხეს რესტორანში ტურისტების სტუმრობის ამბავი, რომელშიც ქმედებები არასტანდარტული თანამიმდევრობით იყო გადმოცემული, კერძოდ, ანგარიში ტურისტებმა თავიდანვე გადაიხადეს, ხოლო მენიუ მხოლოდ რესტორნიდან გასვლისას ნახეს. როდესაც ცდისპირებს სთხოვეს მოცემული ამბის გახსენება, გამოვლინდა ქმედებების სტანდარტული თანამიმდევრობით გადმოცემის აშკარა ტენდენცია. ცდისპირთა თითქმის 50%-მა „არეული ეპიზოდები“ სტანდარტული თანამიმდევრობით გადაალაგა.*

ყველაზე მეტად ტექსტის რომელი აბზაცის შესავსებად შეიძლება გამოდგეს ეს მაგალითი?

(ა) I

(ბ) II

(გ) III

(დ) V

(ე) VII

18. მენტალური სქემების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია <u>მცდარი</u>?

(ა) მენტალური სქემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საგანთა თუ მოვლენათა აღქმაზე.

(ბ) მენტალურ სქემებს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

(გ) მენტალური სქემების არსებობა ხშირად აჩქარებს ინფორმაციის გადამუშავების პროცესს.

(დ) მენტალური სქემები მოქმედებების მიღებულ და ხშირად განმეორებად თანამიმდევრობას გულისხმობს.

(ე) მენტალური სქემები ყოველთვის რეალობის მართებულად აღქმის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს.

19. დისპოზიციური განწყობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) დისპოზიციური განწყობა ხელს უწყობს პროცესების ნაცნობ სქემაში მოქცევას, რაც ყოველთვის განაპირობებს რეალობის ობიექტურ შეფასებას.

(ბ) დისპოზიციური განწყობა გარკვეულ გეზს აძლევს ადამიანს, რითაც ეხმარება მას ნივთი მხოლოდ მის რუტინულ ფუნქციაში არ დაინახოს.

(გ) დისპოზიციური განწყობა ანალოგიურ ვითარებაში გარკვეული პროცესების მრავალჯერადი განმეორების პირობებში ყალიბდება.

(დ) დისპოზიციური განწყობა ეხმარება ადამიანს, იდეა თუ ნივთი სხვადასხვა რაკურსით დაინახოს.

(ე) დისპოზიციური განწყობა ადამიანს ტრაფარეტული აზროვნებისაგან იცავს.

20. ფუნქციის ფიქსაციისა და ლატერალური აზროვნების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) ლატერალური აზროვნება ადამიანს ეხმარება ფუნქციის ფიქსაციისაგან თავის დაღწევაში.

(ბ) ფუნქციის ფიქსაცია პრობლემის გადაჭრას ხელს უწყობს, ხოლო ლატერალური აზროვნება – ხელს უშლის.

(გ) ფუნქციის ფიქსაცია ადამიანს ხელს უწყობს ნაცნობი იდეების გაანალიზებაში, ხოლო ლატერალური აზროვნება – ახალი იდეების გაჩენაში.

(დ) ფუნქციის ფიქსაცია გავლენას ახდენს მენტალური სქემების ჩამოყალიბებაზე, ხოლო ლატერალური აზროვნება – ახალი იდეების ტრადიციული მეთოდებით გადამუშავებაზე.

(ე) დისპოზიციური განწყობა ფუნქციის ფიქსაციის გამომწვევია, ხოლო ლატერალური აზროვნება – ტრაფარეტული განსჯისა.

21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) წამოჭრილია განსხვავებული პოზიცია ძირითად საკითხთან დაკავშირებით.

(ბ) ჩამოყალიბებულია ტექსტში დასმული პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

(გ) გავრცობილია წინა აბზაცში წამოჭრილი საკითხი.

(დ) მოტანილია მაგალითი მთავარი პრობლემის საილუსტრაციოდ.

(ე) წარმოდგენილია რეკომენდაცია ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გადასაწყვეტად.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტესტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21